

საინფორმაციო ფურცელი



DAAD Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

სარჩევი

მისალმება პუბლიკაციები	1
• DAAD-ს ვიცე-პრეზიდენტი საქართველოში	2
➢ გერმანულ-ქართული პროექტი GEPA	3
• ინტერვიუ გერმანულ სტუდენტთან	4
➢ სტუდენტური ჯგუფის ვიზიტი გერმანიაში	6
წარდგენა	
➢ თამარ ლაცაბიძე	7
➢ თინა კაფლი	8
სიახლეები	
➢ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება	9
➢ ახალი გერმანულ-ქართული სადოქტორო პროგრამები	9
➢ DAAD-ს ელჩები	9
➢ ღონისძიებათა კალენდარი	10

Impressum:

საინფორმაციო ფურცელი გამოცემულია DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრის მიერ (მ. ზანდუკელის ქ. 16, 01018 თბილისი), რომელსაც სამართლებრივად წარმოადგენს დოქტ. დოროთეა რულანდი, არამომგებიანი გაერთიანება - DAAD (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, კეიზერის ხეივანი 50, ბონი 53175).

ტელ.: +995 322 920 926
info@daad.org.ge
www.ic.daad.de/tbilissi

გაერთიანება:
განთავსებულია ქ. ბონში (გერმანია), დარეგისტრირებულია ბონის საქალაქო სასამართლოს მიერ, სასამართლოს რეესტრი VR 2015

რედაქტორები:
გებჰარდ როილი, დოქტ. ნინო ანთაძე, თამარ ლაცაბიძე

მაისი 2018

ძვირფასო მკითხველო,
ძვირფასო DAAD-ს მეგობრებო,

მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ წელს, DAAD-ს დაფინანსება ოთხმოცამდე სტუდენტმა, დოქტორანტმა და მკვლევარმა მიიღო. 8 ივნისს, სტიპენდიების გადაცემის საზეიმო ღონისძიებაზე, მათ სასტიპენდიო სერთიფიკატები გადაეცემათ. სულ მალე სტიპენდიატები გერმანიაში გაემგზავრებიან ენის კურსებზე დასასწრებად, სამაგისტრო პროგრამის გასავლელად და კვლევის განსახორციელებლად. თითოეულ სტიპენდიატს ვულოცავ ამ წარმატებას!

თუმცა, საინფორმაციო ფურცლის ამ გამოშვებაში მხოლოდ სტიპენდიებით არ შემოვიფარგლებით. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც DAAD-ს მიერ დაფინანსებული პროგრამის, «სტუდენტური ჯგუფის ვიზიტი» ფარგლებში იმყოფებოდა გერმანიაში, თავისი შთაბეჭდილებების შესახებ მოგიტხრობთ. აქვე წარმოგიდგენთ DAAD-ს მიერ დაფინანსებულ პროგრამას PAGEL - პარტნიორობა ჯანდაცვის სფეროში გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის, რომელიც მიმდინარე წლიდან გრძელვადიან ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს წმ. თამარ მეფის უნივერსიტეტისა და ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის კოოპერაციას. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად დაფინანსებული პროექტებისა.

გაეცანით ჩვენს პუბლიკაციებს, როგორც ინსპირაციის წყაროს და გვეწვიეთ თქვენი იდეებით DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში ქართულ-გერმანული თანამშრომლობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

საუკეთესო სურვილებით,
გებჰარდ როილი

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018

DAAD-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში

26 მარტს, საქართველოს სტუმრობდა DAAD-ს ვიცე-პრეზიდენტი და გისენის უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. დოქტ. ჯოიბრატო მუხაჯი. სტუმარს ახლდნენ გისენის უნივერსიტეტის უცხოეთის განყოფილების ხელმძღვანელი, ასევე გისენისა და თსუ-ს პარტნიორული პროგრამის კოორდინატორები (ყოფილი და ამჟამინდელი).

პროფ. მუხაჯი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, თსუ-სა და გისენის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო დოქტორის წოდებით დაჯილდოვდა. თანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტებს შორის 2005 წელს გაფორმდა. ის მოიცავს კვლევისა და სწავლების სფეროს, გულისხმობს სტუდენტების, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას, ასევე კვლევითი პროექტების განხორციელებას.

პროფ. დოქტ. მუხაჯიმ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენება წაიკითხა თემაზე „ევროპული იდეა და უმაღლესი განათლების როლი გისენის იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტის მაგალითზე.“ სტუმარი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბ.-ნ მიხეილ ჩხენკელს, ასევე განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს. შეხვედრა შედგა აგრეთვე გერმანიის ელჩთან საქართველოში. განხილულ იქნა DAAD-ს ახალი პროგრამები, რომლებიც შემოდგომიდან შევა ძალაში.

[გისენის იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტის პრესრელიზი](#)
[თსუ-ს პრესრელიზი](#)



პროფ. დოქტ. მუხაჯი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრისას

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018

ერთობლივი გერმანულ-ქართული პროექტი GEPA - გერიატრიული პაციენტების მოვლის პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესება

პროექტი დაფინანსებულია DAAD-ს პროგრამის PAGEL ფარგლებში

მიმდინარე წლის 21 მარტს თბილისში გაიხსნა სიმპოზიუმი თემაზე: „გერიატრიული პაციენტი და ქრონიკული ჭრილობების მართვა“, რომლითაც ოფიციალურად დაიწყო DAAD-ს მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტი - GEPA.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში გერიატრიული პაციენტის შინმომვლის სტანდარტების გაუმჯობესებას. აღნიშნული საკითხი დემოგრაფიული მდგომარეობის სწრაფი ცვლილებისა და ოჯახური სტრუქტურის დასუსტების ფონზე ქვეყანაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

პროგრამა PAGEL - პარტნიორობა ჯანდაცვის სფეროში გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის - ითვალისწინებს ოთხი წლის განმავლობაში (2018-2021) შინმომვლის გასავითარებლად ახალი, გაუმჯობესებული სტრუქტურების და ქსელის ჩამოყალიბებას, რომელთა საშუალებითაც ამბულატორიული მომსახურების ახალი სტანდარტები დაინერგება როგორც განათლებისა და გადამზადების, ასევე შინმომვლის პრაქტიკის მიმართულებით. ხსენებული პროცესი მოიცავს გერიატრიული პაციენტების სათანადო დიაგნოსტიკას, ტიპური გერიატრიული დაავადებების კვლევას, დემენციით დაავადებული პაციენტებისადმი ღირსეულ მოპყრობას და ამასთანავე, კინესთეზიის სფეროში კვალიფიკაციის გაუმჯობესებას.

პროგრამას ახორციელებს ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის გამოყენებით მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, წარმოდგენილი პროფ. დოქტ. კორნელია კრიხელდორფისა (გერონტოლოგია) და პროფ. დოქტ. ანე კელნერის (გამოყენებითი მეცნიერებები, საექთნო საქმე) სახით. პროექტის განხორციელებაში აგრეთვე ჩართულნი არიან:

- ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის გერონტოლოგიისა და გერიატრიის ცენტრი
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
- საქართველოს კარიტასი

18-24 მარტს პროექტის ორივე ხელმძღვანელი და მათი კოლეგა, პროფ. დოქტ. ჰაუკე შუმანი საქართველოში იმყოფებოდნენ, რათა ადგილზე განეხილათ პროექტის სტრუქტურა და გასაუბრებოდნენ პარტნიორებს თანამშრომლობის საკითხებზე. მათი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა პირველი ტრენინგები საექთნო საქმის ბაკალავრიატის სტუდენტების, საექთნო კოლეჯის პედაგოგებისა და მოსწავლეების, აგრეთვე საქართველოს კარიტასის შინმომვლის თანამშრომლებისათვის.

ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფს, რომელიც ინტერდისციპლინარული მიდგომებით გამოირჩევა, პროექტის მსვლელობისას საუნივერსიტეტო კლინიკის სხვა პროფესორები და პრაქტიკოსი ექსპერტები შეუერთდებიან. პროექტის ფარგლებში ქართველ პარტნიორებს შესაძლებლობა ექნებათ კვლევითი სტაჟირების, პრაქტიკული კურსის ან ჰოსპიტაციის ფარგლებში რამდენიმე კვირით ეწვიონ გერმანიას.

ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ):

წმ. თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტი/სიმპოზიუმის გახსნა

გაიოზ ყუბანეიშვილი (საქართველოს კარიტასი, შინმომვლის ხელმძღვანელი), პროფ. დოქტ. კორნელია კრიხელდორფი (ფრაიბურგის კათოლიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, გამოყენებითი მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი), არქიმანდრიტი ადამ ახალაძე (საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი).



DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018

ინტერვიუ გერმანელ სტუდენტთან

იონა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. ის პედაგოგიკის მიმართულებაზე ფრანგულ ენას, ისტორიასა და გერმანულს ეუფლება. პარალელურად იონა საბაკალავრო პროგრამაზე - კულტურის ისტორია და კავკასიოლოგია ირიცხება (მე-2 სემესტრი).

საქართველოს ის პირველად 2017 წელს, ხუთი თვით ეწვია. 2018 წლის მარტიდან მოყოლებული კი ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.



ინტერვიუში ის საკუთარ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს:

პირველ რიგში დიდი მადლობა, ინტერვიუსთვის დრო რომ გამონახე. სანამ შენი საქმიანობის შესახებ მოგვიყვები, თუ შეიძლება გვიამბე, რას სწავლობ საქართველოში?

დიდი მადლობა დაინტერესებისთვის. სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს. სასწავლო საგნების არჩევანთან დაკავშირებით, ვიცოდი რომ თსუ სტუდენტებს სთავაზობს ასარჩევი საგნების სიას, რომლიდანაც სტუდენტი მისთვის საინტერესოს ირჩევს. თუმცა საქართველოში ჩამოსულს, სხვა რეალობა დამხვდა. დაგეგმილი კურსებიდან ზოგი არ იყო შემოთავაზებული, ზოგი საერთოდ არ იძებნებოდა სიაში, სხვები კი იმ მოცემულ სემესტრში არ ისწავლებოდა. საბედნიეროდ, მოვახერხე იმ საგნების არჩევა, რომლის აღიარებაც იენის უნივერსიტეტში შემეძლება. სამწუხაროდ, ვიცნობ ისეთ სტუდენტებსაც, რომლებსაც არც ერთი კრედიტი არ ჩაეთვალათ, რადგან მათ მიერ არჩეული სემინარები მშობლიურმა უნივერსიტეტმა არ აღიარა.

ანუ სჯობს ადგილზე გაარკვიო, რომელი კურსის არჩევას შეძლებ? სემინარზე როგორ დარეგისტრირდი?

ჩვენ, როგორც ERASMUS+ სტუდენტები არ ვრეგისტრირდებით იმ სისტემაში, რომლითაც ქართველი სტუდენტები სარგებლობენ. ჩვენ მიმაგრებული ვართ უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილებას, რომელიც სემინარის ხელმძღვანელებთან გვამისამართებს. ამის შემდეგ, თვითონ ვარკვევთ სემინარის დროს, ადგილსა და სხვა დეტალებს. ეს პროცესი ხანდახან ოდნავ ქაოტურ ხასიათს იღებს.

როგორ არის კურსები გადანაწილებული დღის, კვირის განმავლობაში?

ენის კურსები დღის პირველ ნახევარში იმართება. დარგობრივი კურსები კულტურასა და ისტორიაში, რომელთაც ვესწრები, დღის განმავლობაშია. ეს კურსი მხოლოდ ERASMUS+ სტუდენტებისთვისაა. სხვა ყველა ლექცია, რომელსაც ქართველი სტუდენტებიც ესწრებიან, ძირითადად საღამოობითაა. შაბათობით კი ფრანგული გვაქვს. აქედან გამომდინარე, ჩემი დღისა და კვირის განრიგი სრულიად სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე გერმანიაში. თავისუფალი დროისა და სასწავლო პროცესის გამიჯვნა აქ ცოტა მიჭირს.

როგორ დაახასიათებდი სტუდენტებისა და პედაგოგების ურთიერთობას?

მათ ძალიან თბილი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. ხშირად „შენობით“ მიმართავენ ერთმანეთს.

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018

პედაგოგები, ზოგადად, ძალიან კეთილგანწყობილები არიან და ცდილობენ, საქართველოს დაგვაახლოვონ. ცოტა ხნის წინ მივიღე მეილი ჩემი ლექტორისგან/პროფესორისგან, რომელმაც თბილისში კარგი რესტორანი მირჩია. რამდენიმე ჩემი პედაგოგი სოციალურ ქსელშიც მყავს დამატებული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები და სტუდენტები არა მხოლოდ პროფესიულ დონეზე, არამედ პირადადაც ურთიერთობენ ერთმანეთთან.

რამდენად ხელისშემშლელი ფაქტორია შენთვის ენის ბარიერი, როდესაც საქმე თანატოლებთან და დოცენტებთან ურთიერთობას ეხება?

ჩვენი სალექციო კურსი ინგლისურ ენაზეა. თავდაპირველად ცოტა დრო დამჭირდა შეჩვევისთვის, მაგრამ შემდეგ ადვილად ავუღე ალღო. ამ ეტაპზე კომუნიკაცია უპრობლემოდ მიმდინარეობს.

რას იტყობი იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც სტუდენტები დგანან საქართველოში?

სემინარები, ჩემი აზრით, ნაწილობრივ ზედაპირულია. ჩემი ეს სუბიექტური მოსაზრება შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ მე რეგიონზე უკვე ბევრი ვიცი. სხვა სტუდენტებისთვის ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებ საინტერესოა. იგრძნობა სტანდარტების არქონა. როდესაც, მაგალითად, საქმე ციტირებისა და სამეცნიერო მუშაობის ტექნიკას ეხება, ის სიღრმისეულობა მაკლია, რასაც გერმანიაში ვარ მიჩვეული.

შეგიძლია თქვა, რომ საქართველოში ბევრს სწავლობ?

შემიძლია ვთქვა, რომ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე მოვახერხე ბევრი კარგი ქულის დაგროვება. განსაკუთრებით ბევრს უფრო უნივერსიტეტის გარეთ ვსწავლობ. როდესაც საქართველოში ჩამოდიხარ და ამ ქვეყნის შესახებ არაფერი იცი, საკმაოდ რთულია ყოველდღიურ პრობლემებთან (მაგ.: ბინის მოძიება) გამკლავება, რადგან ყველაფერი ქართულ ენაზეა. მე გამიმართლა - მანამდე ვიყავი საქართველოში და ქართველი მეგობრების წრე მყავს, რომლებიც ყველაფრის მოგვარებაში დამეხმარნენ.


რა მოგწონს განსაკუთრებით თბილისში და რომელია შენი საყვარელი ადგილი?

განსაკუთრებით მომწონს მთები კუს ტბის მიდამოებში. ჩემი საყვარელი ადგილია კაფე Carpe Diem ძველ თბილისში, საიდანაც მთელი თბილისი ხელის გულივით ჩანს. იგივეს ვიტყობი ხედზე სამების საკათედრო ტაძრიდან.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იონას პრისლერს შთაბეჭდილებების გაზიარებისთვის.

პროდუქტიულ ვიზიტს ვუსურვებთ მას!

ინტერვიუ ჩაწერა თინა კაფლმა



DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018

სტუდენტური ჯგუფის ვიზიტი გერმანიაში

ძნელია, ვერ იგრძნო ცვლილება საკუთარ მისწრაფებებში, როცა გაიცნობ ბერლინს - ადგილს, რომელსაც ცხოვრებაში ახალი იდეები შემოაქვს, როცა ესტუმრები შენს საოცნებო პოტსდამის უნივერსიტეტს, მოინახულებ გერმანული უნიკალური კოდიფიკაციის შემოქმედს - ბუნდესტაგსა და ლანდტაგს, მოგვიანებით კი მოისმენ პრაქტიკულ ლექციებს გერმანული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე ულამაზესი ვიურცბურგის იულიუს მაქსიმილიანის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ღია და გულწრფელი საუბარი გექნება ევროკომისიის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთან და უდიდესი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსთან - გიუნტერ ფერჰოიგენტან, გაეცნობი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მის გლობალურ გამოწვევებს, კარიერული წინსვლისთვის ყველაზე პრაქტიკულ რჩევებს მიიღებ მაღალი რანგის დიპლომატისგან ("be a player, not a puppet!"), ესტუმრები შენი ქვეყნის სრულუფლებიან ელჩს, მოინახულებ „ლუდის და გერმანული ფეხბურთის დედაქალაქს“ - მიუნხენს და მის დიდებულ რატკაუსს.

ერთი შეხედვით მოკლევადიანი ვიზიტი ჩემთვის საკმარისად გრძელვადიანი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მომეპოვებინა ინფორმაცია და აღმომეჩინა არსებული შანსები ჩემი პიროვნული, აკადემიური და კარიერული განვითარებისთვის. შანსები, რომლებითაც ჩემი ოცნებები და მიზნები უფრო და უფრო ხელშესახები ხდება. ვიზიტის დახმარებით შევიძინე სხვადასხვა ეროვნების მეგობრები განსხვავებული პროფესიული გამოცდილებებით. პროექტი ნაყოფიერი გამოდგა გერმანულ ენაში ჩემი უნარების დახვეწის მხრივაც. არასდროს დამავიწყდება ფორმალური ღონისძიებების მიღმა გატარებული დრო, ეს განსაკუთრებით ბერლინს ეხება! შემეძლია ვთქვა, რომ ბერლინი „აღმოვაჩინე“ და მივხვდი, რატომ არის ის საოცნებო ქალაქი ნებისმიერი ასაკის, გემოვნებისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანისთვის.

DAAD-ს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და რაც მთავარია, ქ-ნი ანა ფირცხალაშვილის წყალობით, რომელმაც ვიზიტის კოორდინაცია და სტუდენტების კურატორობა ითავა, ჩემი უახლოესი მომავლის გეგმები უკვე აღარ არის ბუნდოვანი - ზუსტად ვიცი, რომ მაქსიმუმ გავაკეთებ გერმანულ უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

ჯუბო ბერიძე

*სასწავლო ვიზიტის მონაწილე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
საგარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი*



ფოტოზე: სტუმრობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოებაში, ჯგუფის ხელმძღვანელ პროფ. ანა ფირცხალაშვილთან და პროფ. დოქტ. გიუნტერ ფერჰოიგენტან ერთად.



სტუდენტების ჯგუფი გერმანიის ბუნდესტაგში

**კონტაქტი****თამარ ლაცაბიძე**

სასწავლო და სასტიპენდიო
პროგრამების კოორდინატორი

DAAD-ს თბილისის
საინფორმაციო ცენტრი
თბილისი 0108
მ. ზანდუკელის ქ. 16

საკონსულტაციო საათები:
ორშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი: 14.00 – 18.00 სთ.

info2@daad.org.ge

თამარ ლაცაბიძე

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრის ახალი
თანამშრომელი

მოგესალმებით!

მე თამარ ლაცაბიძე გახლავართ. DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში თებერვლიდან ვმუშაობ.

პროფესიით გერმანისტი ვარ, ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა ინსტიტუტის კურს-დამთავრებული, სპეციალობით გერმანული ენის მთარგმნელ-რეფერენტი.

პირველი შეხება გერმანიის საუნივერსიტეტო გარემოსთან წლების წინ მიუნსტერსა და ბამბერგში მქონდა, სადაც საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიზნით ჩავედი. შემდეგ იყო დამეგობრებული გერმანული ოჯახების სტუმრობა საქართველოში: ერთად ხეტიალი ძველი თბილისის კოლორიტულ ქუჩებში, არქიტექტურული თუ არქეოლოგიური ძეგლების მონახულება, ფეხით შემოვლილი მთიანი სოფლები, გულთბილი შეხვედრები სტუმართმოყვარე ქართულ ოჯახებში, ქართული ღვინისა და კერძების დაგემოვნება - ამ თავგადასავალში უცხოელ სტუმრებს უძველეს ქართულ კულტურას ვაცნობდი. ოცი წლის წინ ეს ყველაფერი მათთვის ეგზოტიკა, ჩემთვის კი ახალი გამოწვევა იყო, რომელიც მალევე მეორე პროფესიად იქცა. მას შემდეგ არასოდეს მომშორებია განცდა, რომ ჩემი საქმიანობით ორი, ჩემთვის ძვირფასი ქვეყნის დაახლოებას ვუწყობდი ხელს.

მიხარია, რომ დღესაც, DAAD-ს მეშვეობით იმავე ფუნქციას ვითავსებ; ამჯერად აკადემიურ სფეროში - ახალი გამოცდილების შესაძენად, ისევ ორი ქვეყნის სამსახურში.

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018



კონტაქტი

თინა კავლი

პრაქტიკანტი
მოხალისეთა პროგრამა
„kulturweit“

DAAD-ს თბილისის
საინფორმაციო ცენტრი

თბილისი 0108
მ. ზანდუკელის ქ. 16

kaffl-kulturweit@daad.org.ge

თინა კავლი

პრაქტიკანტი DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში

ჩემი სახელია თინა კავლი. საქართველოში მოხალისეთა პროგრამის „kulturweit“ ფარგლებში ჩამოვედი და მიმდინარე წლის ივლისამდე DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში ვიქნები დასაქმებული.

ჩემი ოჯახი ბავარიის უკიდურესი სამხრეთით, ალპებთან ახლოს, სოფელ ბრუკმიულში (Bruckmühl) ცხოვრობს. რადგან სხვა ქვეყნების კულტურა და ადათ-წესები ძალიან მაინტერესებს, სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე ჩემს მეგობართან ერთად მემოგზაურა და ავტრალიას მივაშურე. ნახევარი წელი იქ დავყავი. ამ პერიოდში უამრავი ახალი მეგობარი შევიძინე, ბევრი ვისწავლე, ახალი პერსპექტივიდან დავინახე სამყარო და პიროვნულად გავიზარდე. შემდეგ კი გერმანიაში დავბრუნდი და ეთნოლოგიის სწავლას შევუდექი ბაიროითის უნივერსიტეტში. ბოლო სამი წელი სწავლას მოვანდომე და ცოტა ხნის წინ ბაკალავრიატიც დავასრულე. ბაიროითის უნივერსიტეტი, თავისი ლამაზი კამპუსითა და გარშემორტყმული ბუნებით, ჩემ მშობლიურ მხარეს მაგონებს.

მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩამოსვლისა და მის დედაქალაქში ცხოვრების საშუალება მომეცა. თბილისი კარგა ხანია პირველ ადგილზე დგას ჩემთვის საინტერესო ქალაქებს შორის. უკვე ორი თვეა აქ ვარ და ყოველი დღე აღმოჩენაა ჩემთვის: ვტკბები თბილისის შარმითა და ცხოვრების რიტმით. დიდ სიამოვნებას მანიჭებს DAAD-ში მუშაობა და ქართველ კოლეგებთან ურთიერთობა.

სიახლეები



თსუ-ს 100 წლის იუბილე საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის თებერვალში არაერთ პიროვნებას მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება, მათ შორის იენის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, პროფ. დოქტ. ვალტერ როზენტალს, კიოლნის უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. დოქტ. აქსელ ფრაიმუთს და ამავე უნივერსიტეტის პროფ. კლაუს კრესს, აგრეთვე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს, გიუნტერ ფალტინს. [თსუ-ს პრესრელიზი](#)



გოთინგენის უნივერსიტეტი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად სადოქტორო პროგრამების განხორციელებას იწყებს.

გოთინგენისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები უახლოეს მომავალში ერთობლივ მულტიდისციპლინარულ სადოქტორო პროგრამას განახორციელებენ. პროგრამაში ჩართვის საშუალება ექნებათ არა მხოლოდ ქართველ, არამედ კავკასიის რეგიონის სტუდენტებსაც. პროექტში მონაწილეობას მიიღებს გოთინგენის უნივერსიტეტის 13 კათედრა/მიმართულება. მეორე ეტაპზე იგეგმება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის გახსნა.

პარალელურად, გოთინგენის უნივერსიტეტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით - საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკის სფეროში - ათ ქართველ დოქტორანტს დააფინანსებს. ისინი ექვსიდან თორმეტ თვემდე ვადით გაემგზავრებიან კვლევითი სტაჟირებით გერმანულ უნივერსიტეტში.

ორივე ქართულ-გერმანული პროექტის განსახორციელებლად გოთინგენის უნივერსიტეტმა ფოლკსვაგენის ფონდის მიერ გამოყოფილი, 1,2 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული 600 ათასი ევრო აითვისა. დამატებითი ინფორმაცია: [Presseinformation Nr. 2/2018 der Universität Göttingen](#)

DAAD-ს ელჩები 2018

2017 წლის 22 დეკემბერს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა საღამო DAAD-ს ელჩებისათვის. ჩვენს ორგანიზაციას 35 ელჩი ჰყავს, ძირითადად ყოფილი სტიპენდიატები, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ შედარებით დიდ უნივერსიტეტებში, რათა პოპულარიზაცია გაუწიონ DAAD-ს სტიპენდიებსა და სხვა შეთავაზებებს. ღონისძიებაზე შეჯამდა გასული წლის მოვლენები, რამდენიმე გამომსვლელმა წარადგინა ანგარიში მიმდინარე გაცვლითი პროექტების შესახებ, ისაუბრეს 2018 წლის გეგმებზეც. საღამო მუსიკალურად გააფორმა ჯაზ-ბენდმა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ხელმძღვანელობდა.



[DAAD -ს ელჩები](#)

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი, გამოცემა 02 | 2018



ლონისძიებათა კალენდარი



DaF- ის ახალი მოდული "Deutsch hoch drei - Dhoch3"

ახალი პროგრამა, რომელიც DAAD-მ გერმანულ უნივერსიტეტებთან და იქ მომუშავე DaF-ის ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა. ეს უკანასკნელი ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე გერმანული ენის მასწავლებლებს და მომავალ, გერმანული ენის პედაგოგებს.

1 ივნისი 2018, 16:00-17:00 სთ.

გოეთეს ინსტიტუტი

გერმანული ენის თვის სრული პროგრამა

DAAD-ს სასტიპენდიო პროგრამების კონკურსი 2019 (განაცხადების მიღება 2018)

01.12.2018

01.11.2018

01.11.2018

სექტემბრის ბოლო – ნოემბრის შუა რიცხვები

15.11.2018, 31.05.2019

15.11.2018

15.11.2018

15.11.2018, 31.05.2019

განცხადება

Goethe University is now offering scholarships for 75 Master's programs. Applicants must hold an excellent Bachelor's degree from a university outside of Germany. Awardees are provided with a monthly stipend of 1,000 EUR and other benefits to help them develop their career.

Find more info here: www.uni-frankfurt.de/masterstip and spread the word!



პასუხისმგებლობის ფარგლები:
ჩვენ პასუხს არ ვაგებთ მესამე პირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. იმ გვერდების შინაარსზე, რომელსაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა ბმულის საშუალებით გაეცნობა, პასუხისმგებელია უშუალოდ მათი მომწოდებელი.
Copyright © by DAAD e.V.
საინფორმაციო ფურცლის შინაარსი დაცულია საავტორო უფლებებით. ტექსტების გამოყენება, ისევე როგორც მცირე პასაჟებისა და ფოტოების, DAAD-ს წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
გამოწერის გაუქმება: თუკი არ გსურთ საინფორმაციო ფურცლის მიღება, მოგვწერეთ: info@daad.org.ge

მისამართი:

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი თბილისი 0108 მ. ზანდუკელის ქ. 16

ტელ.: +995 322 920 926 <http://ic.daad.de/tbilissi> DAAD Georgia

ინდივიდუალური კონსულტაცია:

ორშ., ოთხშ., ხუთშ.: 14.00-18.00 სთ.

სატელეფონო კონსულტაცია:

ორშაბათი, ოთხშაბათი: 11.00-13.00 სთ.
ხუთშაბათი, პარასკევი: 11.00-12.30 სთ.